


**ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 2532**



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 14 ნოემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

**ანოტაცია**  
**„ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო**  
**ანგარიშ-ფაქტურა“ №2532**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს, ფიქტიური ოპერაციის ამსახველ სასაქონლო ზედნადებზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და ამგვარი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი და ამგვარი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩამთვლელი პირებისათვის ჯარიმების დაკისრების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, პირის მიერ ეტაპობრივად მიწოდებულ საქონელზე გამოწერილია რამდენიმე სასაქონლო ზედნადები, რომელზეც პერიოდის ბოლოს გამოიწერა ერთიანი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. საგამოძიებო სამსახურმა დაადგინა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ასახული სასაქონლო ზედნადებიდან ერთ-ერთი მათგანი არის ფიქტიური ოპერაციის ამსახველი.

გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამომწერს დეკლარირებული აქვს შესაბამის პერიოდში, ხოლო - მყიდველს ჩათვლილი.

საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება იწვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით. ხოლო ამავე კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პირის მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მოიცავს ფიქტიურ ოპერაციაზე გამოწერილი ერთი ზედნადების თანხას, ხოლო დანარჩენი არის რეალურად მომხდარ ოპერაციაზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადების თანხა, სსკ-ის 280-ე და 282-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებულ უნდა იქნეს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის შესაბამისად.

ამდენად, უნდა დაზუსტდეს საფ-ის გამომწერთან - დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა, ხოლო ჩათვლის მიმღებთან - ჩათვლილი დღგ-ის თანხა (შემცირება).

საფ-ის გამომწერს დაერიცხება სსკ-ის 282-ე მუხლით, ხოლო დღგ-ის ჩამთვლელ პირს - სსკ-ის 280-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ჩათვლილი დღგ-ის თანხის 200-200%-ის ოდენობით.

ამასთან, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.